

შპს მარნეულის კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ

ქ. მარნეული

2026, ოქტომბერი

კვლევის სტრუქტურა

1. საკვლევი საკითხი
2. კვლევის მიზნები
3. სამიზნე ჯგუფი
4. კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი
5. შერჩევა
6. კვლევის მონაცემები
7. დასკვნა

თემის აქტუალობა

საკვლევი საკითხი: შპს მარნეულის კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის დადგენა

პროფესიული სასწავლებლის მთავარი დანიშნულება მხოლოდ თეორიული ცოდნის გაზიარება არ არის მისი რეალური მისია ისეთი გარემოს შექმნაა, სადაც სტუდენტი იმ პრაქტიკულ უნარებს შეიძენს, რომლებიც მას მიღებული პროფესიით დასაქმებაში დაეხმარება. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია, რომ სასწავლო პროგრამების შინაარსი ფეხს უწყობდეს დროს, მუდმივად ახლდებოდეს და ზუსტად პასუხობდეს ადგილობრივი ეკონომიკისა თუ შრომის ბაზრის რეალურ საჭიროებებს. ამ კონტექსტში, კურსდამთავრებულთა კვლევა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სანდო და ინფორმაციულ ინსტრუმენტს, რომელიც კოლეჯს აძლევს საშუალებას, ობიექტურად შეაფასოს საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამების გამართულობა და შედეგიანობა. კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემები საშუალებას იძლევა, ზუსტად დადგინდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, გამოიკვეთოს დასაქმებასთან დაკავშირებული სისტემური თუ ინდივიდუალური გამოწვევები და გაანალიზდეს, რამდენად შეესაბამება მიღებული განათლება შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებს. შესაბამისად, კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები კოლეჯისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცევა არა მხოლოდ სტატისტიკური სურათის დანახვის, არამედ საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული, საფუძვლიანი შეფასებისა და სრულყოფის პროცესშიც.

კვლევის მიზნები, სამიზნე ჯგუფი, კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი

კვლევის მიზანი:

კურსდამთავრებულთა დასაქმების და მასთან დაკავშირებული ტენდენციების გამოვლენა.

კვლევის მთავარი ამოცანები:

- ❖ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის დადგენა (დასაქმება/ თვითდასაქმება/ სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და არაპროფილური საქმიანობა);
- ❖ დაუსაქმებლობის შემთხვევაში ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება;
- ❖ პროფესიულ საქმიანობაში კურსდამთავრებულების მიერ კოლეჯში შეძენილი კომპეტენციების გამოყენების მაჩვენებლის დადგენა;

სამიზნე ჯგუფი: კოლეჯის კურსდამთავრებულები, რომელთაც სწავლა დაასრულეს კვლევის ჩატარებამდე ერთი წლით ადრე.

კვლევის მეთოდი: რაოდენობრივი .

კვლევის ინსტრუმენტი: ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი

შერჩევა

კვლევისთვის საჭირო ცდის პირების შერჩევა მოხდა იმ კურსდამთავრებულთა ბაზიდან, რომელთაც სწავლა დასრულებული ჰქონდათ კვლევის ჩატარებამდე ერთი წლით ადრე. შერჩევა მოხდა კოლეჯში მოქმედი თითოეული პროგრამიდან. კვლევის მონაცემების ვალიდურობის უზრუნველსაყოფად კვლევამ მოიცვა კოლეჯის კურსდამთავრებულთა 49%. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 68 კურსდამთავრებულმა. კვლევა ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვით, ხოლო პასუხები აისახა Excel-ის ფაილში. პროცესს უშუალოდ უძღვებოდნენ ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი და ხარისხის სპეციალისტი.

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო კოლეჯში 2025 სასწავლო წელს 5 საგანმანათლებლო

პროგრამის 140 კურსდამთავრებულიდან 68 კურსდამთავრებულმა:

- საექთნო განათლება (9),
- - ფარმაცია (21),
- - აღმზრდელი (9),
- - ინფორმაციის ტექნოლოგიები (14),
- - საფინანსო სერვისები (15) .

სწავლის გაგრძელების ტენდენციები კურსდამთავრებულებში

(სწავლის დასრულებიდან 12 თვეში საგანმანათლებლო საქმიანობა გააგრძელა)


- აღმზრდელის პროგრამის ერთმა კურსდამთავრებულმა, სწავლა სხვა პროფესიულ პროგრამაზე გააგრძელა.

- საექთნო განათლების პროგრამის და ფარმაციის პროგრამის არც ერთმა კურსდამთავრებულმა სწავლა არ გააგრძელა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სხვა პროგრამაზე.


- ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის 3 კურსდამთავრებულმა, სწავლა გააგრძელა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სხვა პროგრამაზე.

- საფინანსო სერვისების პროგრამის 3 კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სხვა პროგრამაზე.

დიაგრამა 1. სწავლა განაგრძეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროგრამის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში



გამოკითხულთაგან, 94% კურსდამთავრებული მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლება ხელისშემწყობია დასაქმებისთვის, მხოლოდ 6% თვლის, რომ პროფესიული განათლება არ არის საკმარისი დასაქმებისთვის.




კითხვაზე “თავიდან რომ აბარებდნენ, ისევ აირჩევდნენ შპს „მარნეულის კოლეჯს“? გამოკითხულ კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა - 100% (68 კურსდამთავრებული) აფიქსირებს აზრს, რომ კვლავ მარნეულის კოლეჯს აირჩევდნენ.


კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი: სწავლის პერიოდში და პროგრამის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში

გამოკითხულ კურსდამთავრებულების 62% დასაქმებული იყო კოლეჯში სწავლის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში. მათგან დაახლოებით 62% პროფესიული პროგრამის პროფილის შესაბამისად მუშაობდა, 38% კი არაპროფილურად იყო დასაქმებული. ამასთანავე, გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 6%-მა გაიარა სტაჟირება პროფესიული პროგრამის პროფილის შესაბამისად. პროგრამების მიხედვით დასაქმების მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: ფარმაციის პროგრამის კურსდამთავრებულიდან 71% პროფილის შესაბამისად დასაქმდა, ხოლო 29% - არაპროფილურად. ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის პროგრამის მიმართულებით კურსდამთავრებულიდან 22% პროფილურად მუშაობს, 78% კი არაპროფილურად არის დასაქმებული. საექთნო განათლების პროგრამის კურსდამთავრებულიდან 88% პროფილის შესაბამისად დასაქმდა, ხოლო 12% გაიარა პროფილური სტაჟირება. საფინანსო სერვისების პროგრამის კურსდამთავრებულების 40% პროფილურად მუშაობს, 20%-მა გაიარა პროფილური სტაჟირება, 40%-მა არაპროფილურად დასაქმდა. აღმზრდელის პროგრამის კურსდამთავრებულიდან 75% პროფილის შესაბამისად დასაქმდა, ხოლო 25% გაიარა პროფილური სტაჟირება.

დიაგრამა 3. დასაქმდნენ პროფესიით, პროგრამის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში




- გამოკითხვის შედეგების თანახმად, სწავლის პერიოდში სტუდენტების 29% იყო დასაქმებული (როგორც პროფესიით, ისე არაპროფილურად). პროგრამების მიხედვით მონაცემები ასე გადანაწილდა: • ინფორმაციული ტექნოლოგიები: დასაქმებული იყო 43% ყველა პროფილურად. • ფარმაცია: დასაქმებული იყო 67% , რომელთაგან 86% არაპროფილურად მუშაობდა, ხოლო 14% პროფილურად. • საფინანსო სერვისების, საქთნო განათლებისა და აღმზრდელის პროგრამების კურსდამთავრებულთაგან სწავლის პერიოდში დასაქმებული არავინ ყოფილა.




კოლეჯში მიღებული განათლების გავლენა დასაქმებასა და პროფესიულ წარმატებაზე

კვლევის შედეგების მიხედვით, კოლეჯებში მიღებულმა თეორიულმა ცოდნამ და პრაქტიკულმა უნარებმა კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გამოკითხულთა 82%-მა დაადასტურა, რომ სწორედ ამ ფაქტორებმა შეუწყო ხელი მათ დასაქმებაში. ეს შედეგი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულებში, როგორიცაა საექთნო განათლება და ფარმაცია.



კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ კოლეჯში მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები ეხმარება მათ ყოველდღიური სამუშაოს წარმატებით შესრულებაში. პროგრამების მიხედვით პასუხების ანალიზმა აჩვენა, რომ კოლეჯში მიღებული განათლების პრაქტიკული ღირებულება ყველაზე მაღალია საქთნო განათლებისა და საფინანსო სერვისების პროგრამებზე: ორივე შემთხვევაში მაჩვენებელი 100%-ია. მათ მოსდევს ფარმაციის პროგრამა, სადაც კურსდამთავრებულთა 86%-მა დაადასტურა განათლების პრაქტიკული სარგებლიანობა. აღმზრდელების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 77%-ია, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამაზე კი 50%.

დიაგრამა 6. კოლეჯში მიღებული განათლება (ზოგადი და დარგობრივი) საკმარისი იყო სამუშაო ადგილზე მოვალეობების შესასრულებლად



ყველა საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ კოლეჯში მიღებული ცოდნა მათ დასაქმებაში რეალურად დაეხმარა. კერძოდ, აღნიშნულ დებულებას სრულად (100%-ით) იზიარებენ ფარმაციის (21 რესპონდენტი), საქთნო განათლებისა (9 რესპონდენტი) და ინფორმაციული ტექნოლოგიების (9 რესპონდენტი) კურსდამთავრებულები. მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საფინანსო სერვისებისა (90%, 13 რესპონდენტი) და აღმზრდელის (90%, 7 რესპონდენტი) პროგრამებზეც.

დაუსაქმებლობის მიზეზები


- გამოკითხვის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულთა დაუსაქმებლობის ძირითადი მიზეზებს შორის შრომის ბაზარზე არსებულ სირთულეებიზ გარდა პირად და ოჯახურ გარემოებებს. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა დაუსაქმებლობის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი ოჯახური გარემოებებია (32%). რესპონდენტები აღნიშნავენ ბავშვის დაბადებას, ბავშვის მოვლის აუცილებლობასა და დაოჯახებას, როგორც იმ ფაქტორებს, რომლებმაც პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმების შესაძლებლობა დროებით შეზღუდა. ეს ტენდენცია მიუთითებს, რომ პროფესიული კვალიფიკაციის მიღების მიუხედავად,
- ცალკე შეიძლება გამოიყოს შემთხვევები (12%), როდესაც სამუშაოს არჩევაზე გავლენას ოჯახის წევრების პოზიცია ახდენს. ამ შემთხვევაში პრობლემა დასაქმების შესაძლებლობის არარსებობა კი არა, კონკრეტული სამუშაოს მიმართ ოჯახის დამოკიდებულებაა. ანაზღაურებასთან დაკავშირებული მიზეზები ასევე 12%-ს შეადგენს.

- რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ შეთავაზებული ხელფასი მათ მოლოდინებს არ შეესაბამებოდა, რაც მიუთითებს კურსდამთავრებულთა მოლოდინებსა და ბაზარზე არსებულ პირობებს შორის გარკვეულ განსხვავებაზე. კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა რესპონდენტთა 8%-მა დაასახელა. მათი შეფასებით, მიღებული ცოდნა ან სამუშაო გამოცდილება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კონკურენტუნარიანები იყვნენ შრომის ბაზარზე.

- რესპონდენტთა 8% ამ ეტაპზე სწავლას აგრძელებს სხვა მიმართულებით, რის გამოც ჯერ არ არის აქტიურად ჩართული დასაქმების პროცესში. ეს გარემოება უფრო დროებითი ხასიათისაა და არ შეიძლება ჩაითვალოს უშუალოდ დაუსაქმებლობის პრობლემად. ამის გარდა, კვლევის შედეგების მიხედვით, 26%-მა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ აქტიურად ეძებდა სამუშაოს და დასაქმების სურვილიც ჰქონდა, თუმცა შესაბამისი სამსახურის პოვნა ვერ შეძლო.

პასუხები ასევე მოიცავს ცალკეულ შემთხვევებს, როგორიცაა სამუშაო ადგილის საცხოვრებელი ადგილიდან დაშორება, შესაბამისი ვაკანსიების ნაკლებობა, არასასურველი სამუშაო გარემო, არახელსაყრელი სამუშაო გრაფიკი და კონკრეტულ 12 პროფესიაზე დაბალი მოთხოვნა. თითოეული ეს მიზეზი მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში დაფიქსირდა.

საერთო ჯამში, შედეგები ცხადყოფს, რომ დაუსაქმებლობის თითქმის ნახევარი (44%) სოციალურ და ოჯახურ გარემოებებს უკავშირდება.



დასკვნა

- შპს „მარნეულის კოლეჯის" კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევაში მონაწილეობა 140 კურსდამთავრებულიდან 68 რესპონდენტმა მიიღო, რაც საერთო რაოდენობის 49%-ს შეადგენს. კვლევის მიხედვით, პროგრამის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში დასაქმდა გამოკითხულთა 62% (42 კურსდამთავრებული).

- მათგან 36%-მა დასაქმება შეძლო მიღებული პროფესიის შესაბამისად, 25%-მა კი არაპროფილურ საქმიანობაში დასაქმდა, ხოლო 6% პროფილის შესაბამისი სტაჟირება გაიარა. კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია კურსდამთავრებულთა მაღალი შეფასება კოლეჯში მიღებული განათლებასთან დაკავშირებით.

- გამოკითხულთა 82%-მა აღნიშნა, რომ თეორიულმა ცოდნამ და პრაქტიკულმა უნარებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია დასაქმების პროცესში. ამასთან, თითქმის ყველა პროგრამის კურსდამთავრებულმა (90-100%) დაადასტურა, რომ მიღებული განათლება საკმარისი აღმოჩნდა პროფესიული მოვალეობების წარმატებით შესასრულებლად. ეს შედეგები მიუთითებს, რომ სასწავლო პროგრამები ეფექტიანად ავითარებს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც რეალურ სამუშაო გარემოშია მოთხოვნადი.

- კვლევამ ასევე აჩვენა, რომ დაუსაქმებლობის მიზეზები უმეტესად პირად და სოციალურ გარემოებებს უკავშირდება და ნაკლებად არის განპირობებული შრომის ბაზარზე არსებული სირთულეებით. ყველაზე ხშირად დასახელდა ბავშვის მოვლა, დაოჯახება და სხვა ოჯახური პასუხისმგებლობები, ასევე ოჯახის წევრების გავლენა სამუშაოს არჩევაზე. აღნიშნული ფაქტორები ერთად დაუსაქმებლობის მიზეზების 44%-ს შეადგენს.

- შედარებით იშვიათად სახელდება შრომის ბაზართან დაკავშირებული მიზეზები, როგორიცაა ანაზღაურება, სამუშაო პირობები, სამუშაო ადგილის მდებარეობა და შესაბამისი ვაკანსიების სიმცირე (20%), ხოლო კვალიფიკაციის ან გამოცდილების ნაკლებობა მხოლოდ 8%-ში დასახელდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხული კურსდამთავრებულების 100% მა აღნიშნა, რომ არჩევანის ხელახლა გაკეთების შემთხვევაში კვლავ „მარნეულის კოლეჯში" ისწავლიდა, რაც სასწავლო პროცესის, პროგრამებისა და მიღებული გამოცდილების მიმართ ნდობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს.



მადლობა ყურადღებისთვის!